საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "26" 11 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1671/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 7 ნოემბერს N 74674/03 განაცხადით სპარტაკ უღრელიძემ (მის: გლდანის რაიონი, პირველი მიკრო, კორპ.21 ბინა 3) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „სამეფო PREMIUM BRAND SAMEPO BLACK" (რეგ. N 24314) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „სამეფო PREMIUM BRAND SAMEPO BLACK" (რეგ. N 24314) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 22.11.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 22.11.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 34-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „სამეფო PREMIUM BRAND SAMEPO BLACK" (რეგ. N 24314) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 435), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 26.11.2013).

ასლი დედანთან სწორია
26 11 2013 წ.
ხელმოწერა

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; სპარტაკ უღრელიძეს (მის: გლდანის რაიონი, პირველი მიკრო, კორპ.21 ბინა 3, თბილისი)

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგ. N 24315

მფლობელი: ულრელიძე სპარტაკ

მისამართი: გლდანის რაიონი, I მიკრორაიონი, კორპ.21, ბინა 3, 0167, თბილისი, საქართველო

კლასი: 34 - თამბაქო, მწეველთა საკუთნო, ასანთი.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგ. N 24314

მფლობელი: უღრელიძე სპარტაკ

მისამართი: გლდანის რაიონი, I მიკრორაიონი, კორპ.21, ბინა 3, 0167, თბილისი, საქართველო

კლასი: 34 - თამბაქო, მწეველთა საკუთნო, ასანთი.